მსოფლიოს გეოგრაფია

10

მაია ბლიაძე, გია ჭანტურია, დავით კერესელიძე

მოსწავლის რვეული

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

I თავი

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

1. დაუკავშირე ერთმანეთს პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები და წამყვანი ქვეყნები (დააკავშირე ისრებით):

პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები	წამყვანი ქვეყნები
1. ძველი პერიოდი	ა. აშშ, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი
2. შუა საუკუნეები	ბ. აშშ, გაერთიანებული სამეფო, სსრკ
3. ახალი პერიოდი	გ. ძველი ეგვიპტე, კართაგენი, ძველი რომი
4. უახლესი პერიოდი	დ. ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი
5. თანამედროვე პერიოდი	ე. ბიზანტია, კიევის რუსეთი, პორტუგალია.

2. განალაგე დროის ხაზზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები:



3. რუკის ლეგენდა თავად შექმენი და სხვადასხვა ფერით აღნიშნე კონტურულ რუკაზე თითოეული ისტორიული ეპოქის წამყვანი ქვეყნები.



4. ჩამოთვლილთაგან რომელია ნიდერლანდების ზღვისგადაღმა ტერიტორია კარიბის ზღვის აუზში:

ა. რეუნიონი;
ბ. არუბა;
გ. ბერმუდა;
დ. გუამა.

5. ჩამოთვლილთაგან რომელია გაერთიანებული სამეფოს ზღვისგადაღმა ტერიტორია წყნარ ოკეანეში?

ა. გიბრალტარი; ბ. კ. ამაღლება;
გ. რეუნიონი; დ. პიტკერნი.

6. ჩამოთვლილთაგან რომელია საფრანგეთის ზღვისგადაღმა ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში?

ა. კაიმანის კ-ები; ბ. რეუნიონი;
გ. აღმოსავლეთ სამოა; დ. ახალი კალედონია.

7. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მიმდინარე მოვლენები დაალაგე რაოდენობრივი და თვისობრივი ცვალებადობის მიხედვით:

1. ავსტრალიის კონტინენტის აღმოჩენა;
2. აშშ-ის ტერიტორიის გაფართოება;
3. იუგოსლავიის ფედერაციისა და სსრკ-ს დაშლა;
4. ფეოდალური წყობის კაპიტალისტური წყობით შეცვლა;
5. ინდოეთისა და პაკისტანის სუვერენიტეტი;
6. 1979 წლის ირანის რევოლუცია და შაჰის ხელისუფლების დამხობა;
7. ნატოს შექმნა;
8. არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი;
9. ევროკავშირის შექმნა.

რაოდენობრივი ცვლილებები	
თვისობრივი ცვლილებები	

8. ძველი ბერძნული კოლონიები არ გვხვდებოდა:

ა. საფრანგეთის ტერიტორიაზე; ბ. ესპანეთის ტერიტორიაზე;
გ. კვიპროსის ტერიტორიაზე; დ. სლოვენიის ტერიტორიაზე.

9. რომის იმპერიის შემადგენლობაში არ შედიოდა თანამედროვე:

ა. საფრანგეთის ტერიტორიები; ბ. თურქეთის ტერიტორიები;
გ. ირლანდიის ტერიტორიები; დ. ტუნისის ტერიტორიები.

10. რომის საღვთო იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა თანამედროვე:

ა. გერმანიის ტერიტორიები; ბ. ესპანეთის ტერიტორიები;
გ. შვედეთის ტერიტორიები; დ. ირლანდიის ტერიტორიები.

11. საფრანგეთის კოლონიური ტერიტორიები მოიცავდა:

ა. ინდოსტანის ნ-კ-ის ცენტრალურ ნაწილს;
ბ. ავსტრალიას;
გ. ინდოჩინეთის ნ-კ-ის მნიშვნელოვან ნაწილს;
დ. სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილს.

12. მსოფლიოს კონტურულ რუკაზე სხავდსხვა ფერით აღნიშნე საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ისა და ნიდერლანდების დამოკიდებული ტერიტორიები.



13. პირველი მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ოპერაციები არ ვრცელდებოდა:

ა. საფრანგეთის ტერიტორიაზე;
ბ. გერმანიის ტერიტორიაზე;
გ. ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე;
დ. გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე;

14. ბელგიის კოლონიური იმპერია მოიცავდა:

ა. ცენტრალურ ამერიკას;
ბ. ცენტრალურ აფრიკას;
გ. არაბეთის ნ-კ-ს;
დ. მალაის არქიპელაგს.

15. რომელი იმპერია დაიშალა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ?

ა. ბრიტანეთის;
ბ. ავსტრია-უნგრეთის;
გ. საფრანგეთის;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

16. აღნიშნე მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალურ სახელმწიფოთა წყვილი:

ა. იტალია-შვეიცარია;
ბ. შვედეთი-პორტუგალია;
გ. აშშ-ჩინეთი;
დ. შვეიცარია-დანია.

17. მართებულია თუ არა, რომ:

ა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში 15 სუვერენული სახელმწიფო წარმოიშვა;
ბ. იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე 9 სუვერენული სახელმწიფო გაჩნდა;
გ. 1955 წელს შეიქმნა კომუნისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ვარშავის ხელშეკრულების პაქტის სახელით.

18. აფრიკის პოლიტიკური რუკის გამოყენებით ჩამოთვალე საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოსა და პორტუგალიის 5-5 კოლონიური სახელმწიფო, რომლებიც დღეს სუვერენული ქვეყნები არიან და შეავსე ცხრილი.

საფრანგეთის ყოფილი კოლონიები	გაერთიანებულის სამეფოს ყოფილი კოლონიები	პორტუგალიის ყოფილი კოლონიები

19. ჩამოთვალე აფრიკის ის 17 ქვეყანა, რომლებმაც 1960 წელს პოლიტიკური სუვერენიტეტი მიიღეს თავისი ყოფილი მეტროპოლიებისგან და შეავსე ცხრილი:

ქვეყანა	ყოფილი მეტროპოლია

20. რომელია ევროპის სახელმწიფოთა ის სამეული, რომელიც პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ერთი მტრის წინააღმდეგ იბრძოდა?

ა. საფრანგეთი, სსრ კავშირი, შვეიცარია;

ბ. საფრანეგთი, გერთიანებული სამეფო, ბელგია;

გ. ესპანეთი, სსრ კავშირი, გერმანია.

დ. საფრანგეთი, გერმანია, ბელგია.

21. რომელი ქვეყნების წყვილი შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში?

ა. ფინეთი და სამხრეთ კორეა; ბ. ფინეთი და უკრაინა;
გ. ფინეთი და ბულგარეთი; დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

22. რომელია იმ ქვეყნების წყვილი, რომელთა ტერიტორიებზე ვრცელდებოდა, როგორც ძველბერძნული კოლონიები, ისე ძველი რომის იმპერიის ძალაუფლება?

ა. ესპანეთი-თურქეთი; ბ. იტალია-ნიდერლანდები;
გ. უკრაინა-დანია; დ. ისრაელი-ბრიტანეთი.

23. ჩამოთვალე თანამედროვე ევროპის ის სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის საფუძველზე წარმოიშვა:

_____
_____
_____

24. განმარტე, რა არის ანკლავი და მოიყვანე მაგალითი.

_____
_____
_____
_____

25. მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკების გამოყენებით დაადგინე, რომელი ქვეყნები მდებარეობს ჩამოთვლილ ნახევარკუნძულებზე და შეავსე ცხრილი:

გეოგრაფიული ობიექტი	ქვეყანა
ალასკის ნ-კ	
პირინეს ნ-კ	
ლაბრადორის ნ-კ	
სომალის ნ-კ	
კამჩატკის ნ-კ	
სკანდინავიის ნ-კ	
ბალკანეთის ნ-კ	
აპენინის ნ-კ	
ინდოსტანის ნ-კ	
ფლორიდის ნ-კ	

26. ევროპის კონტურულ რუკაზე აღნიშნე ის ქვეყნები, რომელბმაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შეცვალეს თავიანთი პოლიტიკური სტატუსი:

ა. ქვეყნებმა, რომლებმაც მიიღეს (ხელახლა დაიბრუნეს) დამოუკიდებლობა;

ბ. ქვეყნები, რომლებიც გაერთიანდნენ;

გ. ქვეყნები, რომლებიც დაიშალნენ.

27. მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკების გამოყენებით დაადგინე, რომელი ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარეობს ჩამოთვლილი გეოგრაფიული ობიექტები და შეავსე ცხრილი:

გეოგრაფიული ობიექტი	ქვეყანა
ლა-პლატის დაბლობი, ბუენოს-აირესი, პატაგონია	
დეკანის ზეგანი, ქ. კალკუტა	
ფლორენცია, კ. სიცილია, აპენინის ნ-კ	
კ. იავა, ქ. ჯაკარტა, კრაკატაუ	
ქ. ბორდო, მდ. სენა, ბულონი	
მდ. ჩიკაგო, ფლორიდის ნ-კ, მდ. მისისიპი	
მდ. თემზა, ტბა ლოხ-ნესი, ქ. კარდიფი	
რური, ბავარია, ქ. ჰამბურგი	

28. XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა რამდენიმე ახალი სახელმწიფო. მოცემული დახასიათების მიხედვით დაადგინე, რომელ ქვეყნებზეა ლაპარაკი და ჩასვი გამოტოვებულ ადგილას:

ა) _____ ფედერაციული სახელმწიფო იყო სამხრეთ ევროპაში. 90-იანი წლების დასაწყისში მის ტერიტორიაზე რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო წარმოიქმნა.

ბ) 1993 წლამდე ცენტრალურ ევროპაში იყო ერთიანი სახემწიფო _____. მისი დაშლის შემდეგ პოლიტიკურ რუკაზე ორი დამოუკიდებელი ქვეყანა გაჩნდა.

გ) 1990 წლამდე ცენტრალურ ევროპაში ორი სხვადასხვა ქვეყანა არსებობდა: _____ და _____. შემდეგ ისინი გაერთიანდა და ამჟამად ერთი სახელმწიფოა _____ .

29. ხაზი გაუსვი აფრიკის ქვეყნებს:

ეკვადორი, გვინეა, მალაიზია, კოტ-დივუარი, პაკისტანი, გამბია, მექსიკა, ჰაიტი, დანია, იემენი, ვიეტნამი, ალჟირი, მიანმარი, ჩადი, სლოვენია, ბრაზილია, სინგაპური, გვატემალა, სურინამი, მალივი, ომანი, გაიანა, ბოლივია, ერაყი, კამბოჯა, ტუნისი, სარ-ი, არგენტინა

30. ხაზი გაუსვი ლათინური ამერიკის ქვეყნებს:

ეკვადორი, გვინეა, მალაიზია, კოტ-დივუარი, პაკისტანი, გამბია, მექსიკა, ჰაიტი, დანია, იემენი, ვიეტნამი, ალჟირი, მიანმარი, ჩადი, სლოვენია, ბრაზილია, სინგაპური, გვატემალა, სურინამი, მალივი, ომანი, გაიანა, ბოლივია, ერაყი, კამბოჯა, ტუნისი, სარ-ი, არგენტინა

31. ხაზი გაუსვი აზიის ქვეყნებს:

ეკვადორი, გვინეა, მალაიზია, კოტ-დივუარი, პაკისტანი, გამბია, მექსიკა, ჰაიტი, დანია, იემენი, ვიეტნამი, ალჟირი, მიანმარი, ჩადი, სლოვენია, ბრაზილია, სინგაპური, გვატემალა, სურინამი, მალივი, ომანი, გაიანა, ბოლივია, ერაყი, კამბოჯა, ტუნისი, სარ-ი, არგენტინა.

32. იპოვე შეცდომა:

ა. პოლონეთი – ვარშავა;
ბ. გერმანია – ბერლინი;
გ. კანადა – ოტავა;
დ. აშშ – ნიუ-იორკი.

33. იპოვე სწორი შესაბამისობა:

ა. მოლდოვა – მინსკი;
ბ. ლიხტენშტაინი – ლუქსემბურგი;
გ. ირლანდია – რეიკიავიკი;
დ. დანია – კოპენჰაგენი

34. ჩამოთვლილთაგან რომელია აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი?

ა. კაირო;
ბ. დაკა;
გ. სანა;
დ. დოჰა.

35. შესაბამისი ციფრით აღნიშნე მსოფლიოს კონტურულ რუკაზე ქვეყნები:

1. ნორვეგია
2. შვეიცარია
3. იტალია
4. ბანგლადეში
5. ნეპალი
6. მაროკო
7. ჩადი
8. ტანზანია
9. ვენესუელა
10. კანადა
11. ჩილე
12. ახალი ზელანდია
13. თურქეთი
14. ესპანეთი
15. კუბა
16. ისლანდია
17. პერუ
18. იაპონია
19. ფინეთი
20. სუდანი
21. სომალი
22. ავღანეთი
23. მადაგასკარი
24. პაპუა-ახალი გვინეა
25. ერაყი
26. ინდოეთი
27. ტაილანდი
28. მაროკო
29. არაბთა გაერთიანებული საამიროები

36. მსოფლიოს კონტურულ რუკაზე შესაბამისი ციფრით აღნიშნე ის ადგილები, რომლებზეც ქვემოთ მოცემულ დებულებებშია საუბარი:

1. ქვეყანა, რომელიც თურქეთსა და საბერძნეთს შორის კონფლიქტის ობიექტს წარმოადგენს.
2. ტერიტორია, რომელიც არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის უთანხმოების ობიექტს წარმოადგენდა.
3. ქვეყანა, რომელმაც 1997 წელს დაიბრუნა ჰონკონგი.
4. ქვეყანა აფრიკაში, რომელიც 2011 წელს ორ სახელმწიფოდ გაიყო.
5. ერთადერთი დამოკიდებული ტერიტორია ევროპაში.

6. ტერიტორია, რომელიც რუსეთმა აშშ-ს მიჰყიდა.
7. ტერიტორია, რომლის გამოც უთანხმოება აქვთ რუსეთსა და იაპონიას.

II თავი

ქვეყნების ტიპოლოგია